პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების“-ს“ წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,დ.ბ” ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების“ (ს/კ 242008830) წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და წესდების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:
   ,,1. საბიბლიოთეკო გაერთიანების სტრუქტურული ერთეულებია:
   ა) საბიბლიოთეკო გაერთიანების ადმინისტრაცია
   ბ) მთავარი ბიბლიოთეკა
   გ) ნოდარ დუმბაძის სახელობის ხიდისთავის ბიბლიოთეკა
   დ) ბუკისციხის ბიბლიოთეკა
   ე) იანეულის ბიბლიოთეკა
   ვ) ვანის ბიბლიოთეკა
   ზ) ზომლეთის ბიბლიოთეკა
   თ) შუა ამაღლების ბიბლიოთეკა
   ი) ამაღლების ბიბლიოთეკა
   კ) ქვენობანის ბიბლიოთეკა
   ლ) დაბლაციხის ბიბლიოთეკა
   მ) ხევის ბიბლიოთეკა
   ნ) ბჟოლიეთის ბიბლიოთეკა
   ო) ერკეთის ბიბლიოთეკა
   პ) ქვემო ერკეთის ბიბლიოთეკა
   ჟ) ჯვარცხმის ბიბლიოთეკა
   რ) საჭამიასერის ბიბლიოთეკა“
2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა – ბექა შენგელია